

შპს „შპს ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „შპს ლოჯისტიკ სოლუშენი“ 404525260

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „შპს ლოჯისტიკს სოლუმენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუმენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31/12/2022	31/12/2021
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები:			
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2 772 461	2 837 849
არამატერიალური აქტივები		472	1039
ძირითადი საშუალებები	4	941 820	944 089
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 714 753	3 782 977
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	30	30
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1 415 608	2 683 333
სხვა პირებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები		19 749	
ფული და ფულის ექვივალენტები	5	98 999	2 354
სულ მიმდინარე აქტივები		1 534 386	2 685 717
სულ აქტივები		5 249 139	6 468 694
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4 705 160	3 535 268
სულ კაპიტალი		4 705 160	3 535 268
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		504 325	1 302 606
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		504 325	1 302 606
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	39 654	1 630 820
მოკლევადიანი სესხები		0	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		39 654	1 630 820
სულ ვალდებულებები		543 979	2 933 426
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5 249 139	6 468 694

დირექტორი : ნიკო კველიშვილი

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)



6 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

**მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

		2022	2021
ამონაგები	9	12 160 400	14 811 714
სხვა შემოსავლები(საპროცენტო)		381 974	304 576
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		584 925	643 340
გადაზიდვის მომსახურების ხარჯები		10 348 107	13 571 033
იჯარის ხარჯები		9 1686	17 766
ცვეთა და ამორტიზაცია		2 836	3192
სხვა ხარჯები	10	283 331	126 187
კურსთა შორის სხვაობა შემოსავალი/ზარალი		564 433	283 149
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		1 201 933	
საპროცენტო ხარჯები		83 478	14 741
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)	12	1 395 648	
მოგება გადასახადამდე		472 2381	440 818
მოგების გადასახადი		1 457	198 946
პერიოდის მოგება/ზარალი		470 924	241 872

დირექტორი :
ნიკო კველიშვილი

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)



21 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

6 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი		4 425 937	4 425 937
წმინდა მოგება		241 872	241 872
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული შემოსავალი		241 872	241 872
გაცემული დივიდენდი		1 125 300	1 125 300
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-7 241	-7 241
2022 წლის 1 იანვარი		3 535 268	3 535 268
მოგების ზრდა		470 924	470 924
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული შემოსავალი		470 924	470 924
გაცემული დივიდენდი			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	545 147		545 147
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	11	153 821	153 821
2022 წლის 31 დეკემბერი		4 160 013	4 705 160

დირექტორი :
ნიკო კველიშვილი

შპს „შპს ლოჯისტიკ სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)



21 სექტემბერი 2023 წელი
თბილისი, საქართველო

6 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “შპს ლოჯისტიკ სოლუშენსი” (ს/კ404525260) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 20/12/2016-ს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტა ხეთაგუროვის ქ., N 6, ბინა 47. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გენერალური დირექტორია ნიკო კველიშვილი.

2022 წლის საოპერაციო პერიოდისთვის კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასაქონლო ტვირთების დატვირთვა-გადატვირთვის მომსახურების გაწევა, ბათუმის პორტის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან კომპანიაში მოხდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, შეიცვალა ძირითადი საქმიანობა, კომპანიის ახალი საქმიანობა გახდა: „საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები”.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6-ს“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2022	31/12/2021
1 USD/GEL	2,7020	3,0976

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

კომპანია ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისათვის იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს, რადგან მენეჯმენტის აზრით წრფივ მეთოდი სამომავლოდ უკეთ ასახავს საწარმოს მიერ ამ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

შენობა-ნაგებობები	50
სატრანსპორტო საშუალებები	5-15
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ხარჯი ასახულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით, როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

(მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში

4. გრძელვადიანი აქტივები:

ძირითადი საშუალებები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2022	941 490	14 440		955 930
შემოსვლა				0
გასვლა		6263		6263
31 დეკემბერი 2022	941 490	8 177		949 667
ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი 2022		11 557		11 557
პერიოდის ცვეთა		2 553		2 553
გასვლა		6263		6263
31 დეკემბერი 2022		7847		7847
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2022	941 490	2 882		944 372
31 დეკემბერი 2022	941 490	330		941 820

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

არამატერიალური აქტივი

აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2022	პერიოდის ცვლა	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
ვებ გვერდი	472	283	0	0	755

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31/12/2022	31/12/2021
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	98 999	2354

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

სულ	98 999	2 354
------------	---------------	--------------

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო მოთხოვნები	169 082	1 900 440
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ		0
საგადასახადო აქტივი გაცემული სესხი მისაღები პროცენტები	1 246 526	711 304
სულ	1 415 608	2 611 744

7. მარაგები

	31/12/2022	31/12/2021
საწვავი სხვა მარაგები	30	30
სულ	30	30

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	185	1 422 1669
მიღებული ავანსები	18 423	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	1690
საგადასახადო ვალდებულებები	941	88 185
საპენსიო ვალდებულებები	20 105	10 180
სულ	39 654	100 055

9. ამონაგები

	2022	2021
შიდა, დატვირთვა-გადატვირთვა დატვირთვა-გადატვირთვა საერთაშორისო გადაზიდვებისთვის	705 686	2 433 231
	11 454 714	12 378 483
სულ	12 160 400	14 811 714

შპს „შპს ლოჯისტიკის სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

10. სხვა ხარჯები

	2022	2021
სხვა ხარჯები	272 831	114 187
საკონსულტაციო ხარჯები	10 500	12 000
სულ	283 331	126 187

11. სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში:

მოხდა წინა პერიოდის შეცდომის გასწორება.

12. ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი):

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, უფიქსირდებოდა მოთხოვნები დებიტორული დავალიანების სახით, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, რის საფუძველზეც შეიქმნა ანარიცხი რათა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წარმოჩინდეს სამართლიანად.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი :

ნიკო კველიშვილი

